დანართი 1

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში მოდიფიცირებულ და თავსებად, მომიჯნავე/მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველ სტუდენტთა კრედიტების აღიარების წესი

1. შეცვლილ/გაუქმებულ პროგრამაზე სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების კრედიტების აღიარებას ახდენს კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისია (შემდგომში: კომისია), რომლის შემადგენლობაშიც შედიან: ა) შეცვლილი/გაუქმებული და ახალი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი და/ან მათ მიერ რეკომენდებული პირი/პირები (აკადემიური პერსონალი ან ხელშეკრულებით მოწვეული, შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პირი); ბ) ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენელი/ წარმომადგენლები; გ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი/ წარმომადგენლები; დ) ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სხვა წარმომადგენლები ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებით.

2. სტუდენტს ავტომატურად უღიარდება შეცვლილი/გაუქმებული პროგრამით გავლილი სასწავლო კურსები, თუ მათი დასახელება, სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა ახალი პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების დასახელებას, სწავლის შედეგებს და კრედიტების რაოდენობას.

3. თუ შეცვლილი/გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის დასახელება არ ემთხვევა ახალი პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების დასახელებას, ხოლო კრედიტების რაოდენობა იგივეა, კომისიას შეუძლია, ზოგადი ხასიათის საგანი სტუდენტს უღიაროს, როგორც შესაბამისი დარგის, სპეციალობის შესავალი, ხოლო სპეციფიკური საგნების აღიარება შეიძლება მოხდეს ფაკულტეტის შესაბამისი მიმართულების კურიკულუმის საგნებთან თემატური, შინაარსობრივი შეთავსების საფუძველზე სწავლის შედეგებიდან გამომდინარე.

4. შეცვლილი/გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსი, რომლის დასახელება, შინაარსი და სწავლის შედეგები არ ემთხვევა ახალი პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსს, სტუდენტს უღიარდება, როგორც თავისუფალი კრედიტი (თავისუფალი კრედიტებისთვის დადგენილი ზღვრული ნორმის ფარგლებში).

5. თუ შეცვლილი/გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის დასახელება და/ან სწავლის შედეგები ემთხვევა ახალი პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის დასახელებას და/ან სწავლის შედეგებს, ხოლო კრედიტების რაოდენობა ახალი პროგრამით გათვალისწინებული (თავსებადი) სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობაზე ნაკლებია, აღნიშნული სასწავლო კურსის კრედიტები სტუდენტს უღიარდება იმ რაოდენობით, რა რაოდენობითაც იყო გათვალისწინებული ძველი პროგრამით; სტუდენტს აღარ მოეთხოვება ამავე სასწავლო კურსის ფარგლებში ახალი პროგრამით გათვალისწინებული დამატებითი კრედიტების მოპოვება. იმ შემთხვევაში, თუ შეცვლილი/გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა აღემატება ახალი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობას, სტუდენტს უღიარდება იმდენი კრედიტი, რამდენიც გათვალისწინებული იყო ძველი პროგრამით.

6. შეცვლილი/გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოპოვებული თავისუფალი კრედიტები სტუდენტს ავტომატურად უღიარდება იმ შემთხვევაში, თუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოქმედი კურიკულუმით გათვალისწინებულია იმავე დასახელების, მოცულობის და სწავლის შედეგების მქონე სასწავლო კურსი.

7. თუ ამ წესით აღიარებული თავისუფალი კრედიტების რაოდენობა გადააჭარბებს ახალი პროგრამით გათვალისწინებული თავისუფალი კრედიტების რაოდენობას, სტუდენტს თავისუფალ კრედიტებად უღიარდება ის სასწავლო კურსები, რომლებშიც მიღებული აქვს უფრო მაღალი შეფასება.

8. იმ შემთხვევაში, თუ კრედიტების აღიარების დადგენილი წესით სტუდენტს დააკლდება აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა, მას ეძლევა უფლება, აინაზღაუროს დანაკლისი წელიწადში 75 კრედიტის ფარგლებში (სემესტრში 35-40 კრედიტი).